

ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა სწავლებისათვის*

„სალიტერატურო ენისათვის ნორმატიულობა ნიშანდობლი-
ვია“ – ხაზგასმით არის აღნიშნული სპეციალურ ლიტერატურაში
(ჩიქობავა 1979: 7). ამიტომ ამ თვალსაზრისით სანიმუშო უნდა იყოს
სასკოლო სახელმძღვანელოებისა და პრესის ენა, რაკი ძირითადად
ამ გზით მკვიდრდება სალიტერატურო ენის ნორმები.

თანამედროვე მასმედიის (ტელე-რადიო გადაცემებისა და
პრესის) ენაზე დაკვირვება აჩვენებს, რომ სალიტერატურო ენის
ნორმები ძალზე ხშირად ირღვევა თითქმის ყველა (საკუთრივ ორ-
თოგრაფიული, მორფოლოგიურ-სინტაქსური თუ სიტყვათა გამოყე-
ნების) მხრივ. ადრე სალიტერატურო ენის სიწმინდის საკითხებზე
გადაიცივდა რადიო- და ტელესაუბრები, საზოგადოება „ცოდნის“
ხაზით იკითხებოდა ლექციები დაინტერესებულ პირთათვის, მუშა-
ობდა ჟურნალისტთა და მასწავლებელთა სემინარები ამავე საკი-
თხებზე მსმენელთა სურვილით შედგენილი პროგრამით. შემდგომ
ნორმათა დამკვიდრების, მოთხოვნისა და დაცვის სამსახური თან-
დათან მოიშალა. ენის სიწმინდის საკითხებზე აღარც რადიო- და ტე-
ლეგადაცემები არსებობს, არც პრესაში იბეჭდება რეგულარულად.
მაგრამ საყურადღებოა, რომ არასწორი მეტყველების განცდა საზო-
გადოებაში არის და იგი გამოხატულია არასპეციალისტთა მხრიდა-
ნაც, რაც მეტად მნიშვნელოვანია. მაგალითად, თანამედროვე სპორ-
ტული კომენტატორების მეტყველების კულტურის თაობაზე დაბეჭ-
დილი ერთი პუბლიცისტური სტატიის ავტორი ასკვნის: „ჩვენ ყუ-
რადღება შევაჩერეთ მხოლოდ სპორტული რეპორტაჟების ზოგიერთ
ენობრივ ხარვეზზე, მაგრამ არა იმიტომ, რომ ამ დარგში რაიმე განსა-
კუთრებული ხდება. ქართული მეტყველების კულტურა ჩვენი

* წაკითხულია არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის 67-ე
სამეცნიერო სესიაზე 2008 წელს.

ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში ერთნაირად მოითხოვს დიდ ყურადღებას“ (ჭიჭინაძე 2007).

თანამედროვე ტელეგადაცემების ენაში ხშირი მრავალმხრივი დარღვევების გამო ასეთი მწვავე შეფასებაც დაიბეჭდა: „კრიმინალურად მიმაჩნია დიქტორების, წამყვანებისა და, ზოგადად, ტელევიზიის ქართული. მარტივ წინადადებებს კიდევ არა უშავს, გულეებს არ გვიხეთქავენ. მაგრამ რთული წინადადებები (თან მერე ქვეწყობილიც თუა) აბსოლუტურად ისეთ შთაბეჭდილებას მიქმნიან, რომ არაქართველები საუბრობენ ეკრანიდან და, თუ მათ ნაირ-ნაირ უცნაურ ინტონაციასაც გავითვალისწინებთ, ამის დამტკიცებაც კი შეიძლება“ (ბერიძე 2008).

ასეთი ტკივილებიანი გამოხმაურებები ენობრივ საკითხებზე, ერთი მხრივ, იშვიათია, მეორეც – ისინი უყურადღებოდ რჩება. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს სალიტერატურო ენის ნორმა-თა დაცვის აუცილებლობისადმი მომთხოვნელობა მოდუნდა.

მეცნიერულად კი დასაბუთებულია: „ერთი სალიტერატურო ენა სწორედ იმიტომ არის საჭირო, რომ ნაირგვარობა, სიჭრელე ცოცხალი დიალექტური მეტყველებისა თავიდან აიცილოს. საამისოდ საჭიროა ნორმა: სალიტერატურო ენას ნორმები რომ არა ჰქონდეს, ერთიანობას დაკარგავდა“ (ჩიქობავა 1979). მართალია, ზოგ ენობრივ საკითხთან დაკავშირებით ჯერჯერობით ნორმა არაა დადგენილი და დამტკიცებული, მაგრამ არსებული ნორმებისა და ენობრივი ტენდენციების მიხედვით ქართული სალიტერატურო ენის ერთიანობის შენარჩუნება შესაძლებელია და აუცილებელი.

ცოცხალ ენაში ნორმათაგან განსხვავებული ფორმების არსებობის სიხშირის გამო სპეციალისტების მიერ შეიმჩნევა რევიზიის ცდებიც. დავიწყებულია, რომ ენობრივი ნორმა შედარებით კონსერვატიულია, ნელა იცვლება. დადგენილ ნორმათა გათვალისწინება სავალდებულოა სალიტერატურო ენის ყველა სფეროში. ამ ნორმებს კი სპეციალურად სწავლა და სწავლება ესაჭიროება.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ სასკოლო სახელმძღვანელოებში? – თანამედროვე სასკოლო რეფორმის პროექტით ქართული ენა და ლიტერატურა ინტეგრირებულად ისწავლება. ხმარებიდან გამოდის ენის სახელმძღვანელოები. ცალკეული კლასებისათვის კი (სხვა საგნების მსგავსად) ხშირად რამდენიმე ალტერნატიული სახელმძღვანელოა შექმნილი, რომელთა მიხედვითაც არ იგრძნობა ენის გრამა-

ტიკული საკითხების სწავლებისათვის ერთიანი სტანდარტის არსებობა. მათში ძირითადად ზოგადი ენობრივი, ლექსიკოგრაფიული, ლექსიკა-ფრაზეოლოგიის, სიტყვათა სტილისტიკური ფუნქციებისა და ორთოგრაფიის საკითხებია განხილული. ზოგი სახელმძღვანელოს შემდგენლებს მოსწავლეთათვის შეუქმნიათ რვეულიც ენობრივი საკითხების, მათ შორის ნორმების განსამტკიცებლად. მთლიანობაში მაინც ისეთი ვითარებაა, რომ ქართული ენის სწავლებას სისტემური ხასიათი არა აქვს, საჭირო ყურადღება არ ეთმობა განსაკუთრებით ქართული ზმნის ფორმათა გამომსახველობით სპეციფიკას. ამას გარდა სხვა საგნების სახელმძღვანელოებიც არ არის ყოველთვის გამართული სალიტერატურო ქართულით შედგენილი, რომ ამანაც შეუწყოს ხელი სალიტერატურო ნორმების დამკვიდრებას. კორექტურული შეცდომების გარდა (რაც აგრეთვე დაუშვებელია სახელმძღვანელოს ენაში) გვხვდება ენობრივად გაუმართლებელი ფორმები, მაგალითად ამ ტიპისა: აწეპებდა (უნდა იყოს: აწებებდა), ვიპოვნით, ვიშოვნით (უნდა იყოს: ვიპოვით, ვიშოვით), ანახოს (უნდა იყოს: ანახვოს), ჩაარჭეთ, მოაწყეთ, გააწყეს (უნდა იყოს: ჩაარჭვით, მოაწყვით, გააწყვეს), მიმოიფანტენ, დაემკვიდრენ (უნდა იყოს: მიმოიფანტნენ, დაემკვიდრნენ), იტეხავს (უნდა იყოს: იტეხს), აწონვა, აწონ-დაწონვა (უნდა იყოს: აწონა, აწონ-დაწონა კითხვაზე რა?), მეყვსეულად (უნდა იყოს: მეყსეულად) და ა. შ. ხშირია დარღვევები კუმშვადი სიტყვების მართლწერისას: კომბალის, ბორბალის, თავგადასავალის, კიდობანით, ჯეროვანად, წლეევანდელიდან... (უნდა ყოფილიყო: კომბლის, ბორბლის, თავგადასავლის, კიდობნით, ჯეროვანად, წლეევანდელიდან...).

ყველაზე ხშირი და მძიმე ობიექტური მესამე პირის ნიშნის მართლწერის დარღვევებია და მათი სპეციალურად განხილვა არის საჭირო. ეს ნიშანი არის ზოგჯერ იქ, სადაც არ უნდა იყოს: ჰქრის, ჰყვაოდა, გაჰქრეს, გაჰყო, მოჰკლა... სწუხს, სდუმს, შესძლო, სთქვა, სჭვრეტს და მისთ. (ე. ი. ერთპირიან და ორპირიან გარდამავალ ზმნებთან). მეორე მხრივ, უფრო ხშირად არ არის იქ, სადაც აუცილებლად უნდა იყოს (ანუ ირიბობიექტიან ზმნებთან): გავს, მიყავხართ, მოკითხეთ, გამოკითხეთ, გაკრან, მოკლებია, მოფარებოდა, დაწყევლა და მისთ. (უნდა ყოფილიყო: ჰგავს, მიჰყავხართ, მოჰკითხეთ, გამოჰკითხეთ, გაჰკრან, მოჰკლებია, მოჰფარებოდა, დასწყევლა).

მესამე ობიექტური პირის **ჰ-ს**- თავსართის მართლწერა თანამედროვე ქართულისათვის გადაწყვეტილად ითვლება. ეს წესი დამაჯერებლად არის განმარტებული და დასაბუთებული აკად. ვარლამ თოფურას წიგნში „ყველასათვის“, როგორც მას უწოდა აწ განსვენებულმა ლილი გოგოხიამ (თოფურია 1965: 97-103). შემდეგ გამოქვეყნდა ნორმა, რომელსაც კანონის ძალა აქვს (ნორმები I 1970: 197-202). ამ ნორმის სწავლებასა და განმტკიცებას სასკოლო სპეციალურ სახელმძღვანელოებში უნდა ექცეოდეს ყურადღება. იგი დაცული უნდა იყოს ყველა სხვა საგნის სახელმძღვანელოთა ენაშიც. ამის მაგივრად ამ წესის დარღვევათა სიმრავლის გამო გამოითქვა მოსაზრება: ამ პრეფიქსს აღარ აქვს მკვეთრად გამოხატული მორფოლოგიური ფუნქცია. ამიტომაც ნორმა შეიძლება გადასახედი გახდეს. უნიშნობა არავითარ გაუგებრობას არ გამოიწვევს კომუნიკაციაშიო (ზექალაშვილი 2008: 25).

ისეთ ზმნებთან, რომლებიც მხოლოდ **ჰ**- ან **ს**- პრეფიქსით უნდა იწერებოდეს ყოველთვის, უნიშნობა იქნებ მართლაც არ გამოიწვევს შინაარსობრივ გაუგებრობას. ასეთებია მაგალითად, ჰგავს, ჰყავს, ჰქონდა, მიჰყავხართ, ჰპირდება, მოჰკითხეთ, გამოჰკითხეთ, მოჰკლებია, მოჰფარებოდა... სთხოვს, სწამს, სწყურია, დასწყევლა და სხვ. მაგრამ ბევრი ზმნის ფორმაში **ჰ-ს**- პრეფიქსს პრინციპული მნიშვნელობა აქვს არა მარტო მორფოლოგიურად და სინტაქსურად, არამედ სტილისტიკურ-სემანტიკური თვალსაზრისითაც.

ფორმათა შინაარსის სიზუსტისათვის აუცილებლად გასათვალისწინებელია **ჰ-ს**- პრეფიქსის არსებობა ზოგჯერ ერთპირიანი და ორპირიანი ზმნების, ზოგჯერ კი ორპირიანი და სამპირიანი ზმნების გასარჩევად. მაგალითად, სხვადასხვაა ერთპირიანი: **დის, მიდის, მოდის, შედის, გადის, გამოდის** და **ს**- პრეფიქსიანი და ამდენად ორპირიანი: **სდის, მისდის, მოსდის, შესდის, გასდის, გამოსდის** ფორმები.

ასევე **ტირის** და **სტირის, მისტირის, შესტირის, დასტირის.**

ჩივის და **შესჩივის, მისჩივის**

შედეგა და **შესდეგა, მისდეგა...**

კიდია და **ჰკიდია,**

ჭირს (გამღება) და **სჭირს** (სურდო) და სხვ.

ორპირიანი და სამპირიანი ზმნების გასარჩევად:

ბანს, დაბანა	და	ჰბანს, დაჰბანა, მოჰბანა
გლეჯს, მოგლიჯა	და	ჰგლეჯს, მოჰგლიჯა, წაჰგლიჯა, გამოჰგლიჯა...
კვეთს, მოკვეთა	და	ჰკვეთს, მოჰკვეთა
კრავს, შეკრა	და	ჰკრავს, ჰკრა, წაჰკრა, მოჰკრა (თვალი)...
წერს, დაწერა	და	სწერს, მისწერა
წყევტს, მოწყვიტა	და	სწყევტს, მოსწყვიტა (თვალი) დასწყვიტა (გული)
ჭრის, მოჭრა	და	სჭრის, მოსჭრა...

ამგვარ ფორმებში ობიექტური მესამე პირის ნიშნის უხმარებლობის შემთხვევაში ქართული ზმნის გამომსახველობის სემანტიკური შესაძლებლობები იჩრდილება. ასეთი ფორმების შესახებ საუბარია ვარლამ თოფურიას დასახელებულ წიგნში. იქვე აღნიშნულია ისიც, რომ „ასეთი სხვაობა არ ჩანს იმ ზმნებში, რომელთა თავკიდური თანხმობანია **ვ ზ ლ მ ნ ყ რ ს ღ შ ხ**, რადგან ამათ წინ **ჰ-** თავსართი იკარგება“ (თოფურია 1965: 91). ეს გარემოება, რასაკვირველია, აძნელებს წესის დამახსოვრებას და ამიტომაც საყურადღებო ფორმები იმთავითვე შეტანილია „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ (1968 წ., 1998 წ.), შევიდა „ქურნალისტის სტილისტიკურ ცნობარში“ (2002 წ.) და მრავლადაა „ქურნალისტის ორთოგრაფიულ-სტილისტიკურ ლექსიკონშიც“ (2009 წ.). მაგრამ მართლ ლექსიკონი ამის მოგვარებას ვერ შველის.

საჭიროა, ირიბი ობიექტური მესამე პირის **ჰ-/ს-** თავსართის მართლწერა სპეციალურად ისწავლებოდეს ქართული ენის სასკოლო კურსში და იგი დაცული იყოს ყველა სხვა საგნის სახელმძღვანელოთა ენაშიც. ამას ყურადღება უნდა მიაქციონ სახელმძღვანელოთა შემდგენლების გარდა რედაქტორებმა და რეცენზენტებმაც. სხვანაირად ქართული ზმნის ფორმათა მართლწერის ამ მნიშვნელოვან სფეროს ვერ მოევლება.

ლიტერატურა

ჩიქობავა 1979 – არნოლდ ჩიქობავა, სალიტერატურო ენა და ნორმა, ქსკს, II, თბილისი.

ჭიჭინაძე 2007 – უშანგ ჭიჭინაძე, „ო, ენავ ჩემო...“, ჟურნ. „მნათობი“, №4, თბილისი.

ბერიძე 2008 – ლელა ბერიძე, „ტელევიზია – შორს ხედვა“, გაზ. „24 საათი“, №9, თბილისი.

თოფურია 1965 – ვარლამ თოფურია, ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, თბილისი.

ნორმები I 1970 – თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, „მეცნიერება“, თბილისი.

ზექალაშვილი 2008 – რუსუდან შამელაშვილი-ზექალაშვილი, სალიტერატურო ენის ცვლილებები და ნორმები (წერილი მესამე), ზმნის მართლწერასთან დაკავშირებული საკითხები. გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, №1, თბილისი.